ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3128633

ნომერი: AR1481448

თარიღი : 24.02.2017

გაცემის თარიღი : 21.03.2017

გაცნობის თარიღი : 22.03.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა არტურ ლაისტი , N 11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა მირზიაშვილი პ/ნ 01024025897
- თბილისი პლ.იოსელიანის ქ. N 37 ბ. 49

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, 24/02/2017 წ. #AR1481448 განაცხადით, მომართა მამუკა მირზიაშვილმა და თორნიკე აბულაძემ, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 12 ივლისის #ნ/440 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, დამკვეთის ინფორმაციაში, ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 23 მაისის #20/394 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა რუსთაველი, შესახვევი III, N 10, (ნაკვეთი N138/50); ქალაქ თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, მეგობრობის პარკის დასაწყისში შ.პ.ს „ორთაჭალის ტურფა“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #21/614 01.11.05წ. ბრძანებით შეთანხმებული შ.პ.ს „ორთაჭალის ტურფა“-ს განაშენიანების პროექტის (განაშენიანების რეგულირების გეგმა) საფუძველზე #3, #5, #7 და #9 კორპუსების არქიტექტურული პროექტი. ხოლო, ამავე სამსახურის 2006 წლის 12 ივლისის #ნ/440 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნული ბრძანების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2009 წლის 15 დეკემბრამდე.
მოგვიანებით ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 18 მაისის #ნ/1084 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, მეგობრობის პარკის დასაწყისში, შ.პ.ს „ორთაჭალის ტურფა“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #003/134) საცხოვრებელი კომპლექსი „ორთაჭალის ტურფა“-ს #7 კორპუსის მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2010 წლის 19 მაისიდან 2010 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით.
ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 12 ივლისის #ნ/440 და ქ. თბილისის მერისს სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 18 მაისის #ნ/1084 ბრძანებები მშენებლობის ვადის გასვლის გამო, წარმოადგენენ ძალადაკარგულ აქტებს.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებლები ითხოვენ, დამკვეთად შპს "ორთაჭალის ტურფასთან" (ს/ნ:205090998) ერთად დაფიქსირდნენ: შპს "TC" (ს/ნ:404990408) და შპს " ATA" (ს/ნ:404990248).
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მე–20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ დღეისათვის, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 12 ივლისის #ნ/440 და ქ. თბილისის მერისს სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 18 მაისის #ნ/1084 ბრძანებები, მშენებლობის ვადის გასვლის გამო, წარმოადგენენ ძალადაკარგულ აქტებს, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, მესაკუთრის ცვლილებასთან დაკავშირებით, ცვლილება შეიტანოს ძალადაკარგულ აქტში. რაც შეეხება არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 23 მაისის #20/394 ბრძანებას, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების სტადიაზე, ნებართვის გამცემი ორგანო არ იკვლევს სამშენებლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას.
გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.